საექსპერტო კვლევითი ჯგუფი

შ.პ.ს "ექსპერტ დეველოპმენტი"



LTD "expert development"

მტკვრის ქუჩა №6

ტელ: 599 98 05 21

Mail:expert_development@gmail.com

19/03/2019 წელი



საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი, ქუჩა ხახანაშვილის №37 საკადასტრო კოდით №01.17.13.001.054 მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა საკადასტრო ნუმერაციით 2/1-ის დემონტაჟისა და მის შემდგო საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებული ახალი ოთხ სართულიანი სასტუმროს მშენებლობით მომიჯნავე ნაგებობების მიმართ ზეგავლენის შესაძლებლობის საექსპერტო კვლევა

შინაარსი

ქ.თბილისი, ქუჩა ხახანაშვილის №37-ში შემოწმებულ იქნა საკ. კოდით №01.17.13.001.054 მიწის ნაკვეთი, სადაც მდებარეობს ოთხი ერთეული შენობა-ნაგებობა. კვლევას საფუძვლად დაედო საპროექტო გადაწყვეტილება კერძოდ, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია აღნიშნულ ტერიტორიაზე შენობა საკ. ნუმერაციით 2/1-ის დემონტაჟი და მის შემდგომ ახალი ოთხ სართულიანი სარდაფით სასტუმრო სახლის მშენებლობა. აქედან გამომდინარე ჩვენს მიერ შესასრულებელი სამუშაოები გულისხმობს აღნიშნული შენობა საკ. ნუმერაციით 2/1-ის დემონტაჟისა და მის შემდგომ ახალი მშენებლობით, მომიჯნავედ არსებული შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული მდგომარეობის შესწავლას და სამუშაოების განხორციელების და მის შემდგომ ექსპლუატაციის პერიოდში ზეგავლენის წარმოქმნის შესაძლებლობას, შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინებით.

მომიჯნავე შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული მდგომარეობის კვლევა

შენობა საკადასტრო ნუმერაციით 1/4

აღნიშნული შენობა წარმოადგენს ხუთ სართულიან სასტუმრო დანიშნულების სახლს. მოძიებული მასალების მიხედვით და ადგილზე



ჩატარებული კვლევის შედეგად აღნიშნულ ნაკვეთზე მდებარეობდა ანალოგიური ტიპის ანაკრები კონსტრუქციებისაგან ნაშენი შენობა, რომელზედაც რეკონსტრუქციის შედეგად გაძლიერების საფუძველზე განხორციელდა მიშენება-დაშენება. სადემონტაჟო შენობა 2/1-ის მიჯნასთან არსებული ფლიგელი წარმოადგენს ანაკრები რკინა-ბეტონის ბლოკების წყობით ნაშენ ნაგებობას, რომელზედაც განხორციელებულ იქნა გამაგრებითი სამუშაოები. დამატებით მოწყობილია რკინა-ბეტონის კოლონები და შეკრულია სარტყელებით, ასევე პირველ სართულსა და მეორე სართულშორის ფილა გაძლიერებულია ლითონის ორტესებრი კოჭების წყობით. არსებული შენობის ძირითად კონსტრუქციულ სქემას წარმოადგენს რკინა-ბეტონის მონოლითური კარკასი, რომელიც დღეის მდგომარეობით აკმაყოფილებს სამშენებლო ნორმებსა და სეისმომედეგობის პირობებს (იხ. თან დართული ფოტომასალა)



EX ERT DEVELOPMENT
402030495
EXPERT DEVELOPMENT LTD





EXPERT DEVELOPMENT LTD
402030495





EXPERT DEVELOPMENT LTD 402030495





შპს ექსპერტ დეველოპმენტი
EX ERT
DEVELOPMENT
402030495
EXPERT DEVELOPMENT LTD

შენობა საკადასტრო ნუმერაციით 3/2

წარმოდგენილი შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით საწარმო ტიპისაა. შენობას გააჩნია რკინა-ბეტონის კოლონები, რომლის საძირკველი ჩაღრმავებულია იატაკის ნიშნულის დონიდან 1.50 მეტრზე და შეკრულია რკინა-ბეტონის ლენტით. აღნიშნულ შენობის კედლები ნაშენია ბეტონი ბლოკებით, ხოლო მზიდი საანგარიშო სქემა რკინა-ბეტონის კოლონებზეა გაანგარიშებული. სართულშუა გადახურვა განხორციელებულია ლითონის №32 კვეთის ორტესებრ კოჭებზე, რომელიც ეყრდნობა რკინა-ბეტონის კოლონების შემკრავ კოჭებს, რის თავზეც მოწყობილია მონოლითური რკინა-ბეტონის ფილა. შენობის გადახურვა განხორციელებულია ანაკრები ეგრეთ წოდებული პეკაჭების წყობით. ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად შენობა იმყოფება საკმარისად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში, რომელიც აკმაყოფილებს დღეისთვის მოქმედ სამშენებლო ნორმებსა და მდგრადობის პირობებს (იხ. თან დართული ფოტომასალა)









EXPERT DEVELOPMENT LTD
402030495



EX ERT DEVELOPMENT
402030495
EXPERT DEVELOPMENT LTD

სადემონტაჟო სამუშაოების დახასიათება და მომიჯნავე შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული მდგომარეობის განსაზღვრა

სადემონტაჟო შენობას წარმოადგენს საკ. ნუმერაციით 2/1, რომელიც განთავსებულია შენობა საკ. ნუმერაციით 1/4 და 3/2 შენობას შორის. ჩატარებული კვლევის შედეგად სადემონტაჟო შენობის კონსტრუქციული სქემა წარმოდგენილია შემდეგი სახით: შენობის საძირკველი ლენტური ტიპისაა, რომლის ჩაღრმავება მიწის ზედაპირიდან არ აღემატება 1.50 მ-ს, რაც ადგილზე შესრულებული გეოლოგიური სამუშაოების შედეგად იქნა დადგენილი. საძირკველში გამოყენებულია ანაკრები რკინა-ბეტონის ცოკოლის კოჭები, ხოლო შენობის მზიდი კედლები ბეტონის ანაკრები ბლოკების წყობით არის განხორციელებული. გადახურვა მოწყობილია ეგრეთ წოდებული ჰეკაუებით.

სადემონტაჟო სამუშაოები გულისხმობს შენობა 2/1-ის დემონტაჟს, ვინაიდან აღნიშნული შენობის კონსტრუქციულ მზიდ ელემენტებზე წარმოქმნილია დეფორმაციებისა და არასათანადო კონსტრუქციული პირობების კვალი, რის გამოც რეკონსტრუქციის ფარგლებში შენარჩუნება და მასზე დაყრდნობა შეუძლებელია. ადგილზე ჩატარებული კვლევის შედეგად სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება დასაშვებად მიგვაჩნია შემდეგი სახით: სადემონტაჟო სამუშაოები უნდა განხორციელებულ იქნას საპროექტო გეგმის მიხედვით 1-2 ღერძებს შორის ა-ა და ბ-ბ ღერძებზე არსებული კედლებისა და გადახურვის, ხოლო მომიჯნავე შენობებთან არსებული კედლები, რომელიც შეკვშირებულია ერთმანეთთან, იქნას შენარჩუნებული, ვინაიდან შესაძლოა გამოიწვიოს გარკვეული სახის დეფორმაციების წარმოქმნა. სამუშაოები უნდა წარიმართოს ხელით დამხმარე ინსტრუმენტების გამოყენებით, ვინაიდან არ გამოიწვიოს უარყოფითი ზეგავლენა აღნიშნულ მომიჯნავე შენობა საკ. ნუმერაციით 1/4 და 3/2-ის მზიდ საყრდენ ელემენტებთან.

წარმოდგენილი სადემონტაჟო სამუშაოების შედეგად გამოირიცხება ყოველგვარი სახის უარყოფითი ზეგავლენის წარმოქმნის საშუალება, ვინაიდან მომიჯნავე შენობების მიმართ კონსტრუქციული სქემა რჩება უცვლელი და სადემონტაჟო შენობის კედლები და გადახურვა არ არის კონსტრუქციულ კავშირში აღნიშნულ ნაგებობებთან (დამატებით იხილეთ თან დართული ფოტომასალა)



სამშენებლო სამუშაოების განსაზრვრა მომიჯნავე შენობების მიმართ

რაც შეეხება სადემონტაჟო სამუშაოების შემდგომ საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულ სამშენებო სამუშაოებს, რომელიც ითვალისწინებს ოთხ სართულიანი სასტუმრო სახლის მშენებლობას კონსტრუქციული ანალიზისა და გაანგარიშების შედეგად უნდა წარიმართოს შემდეგი სახით: შენობა საკ. ნუმერაციით 3/2-ის კედლიდან საპროექტო შენობის საძირკველი და ძირითადი კედელი დაცილებულია 2.52 მეტრის მანძილით, ხოლო სენობა საკ. ნუმერაციით 1/4-თან უნდა განთავსდეს მიჯნაზე. აქედან 3/2 შენობის მიმართ ფუძე-საძირკვლებისა და ყველა ძირითადი კონსტრუქციების სქემის გათვალისწინებით გამოირიცხება ზეგავლენის წარმოქმნის საშუალება, ვინაიდან დაცულია საკმარისი მანძილი, თუმცა აუცილებელი პირობაა გათვალისწინებულ იქნას კონსტრუქციულ პროექტში ორივე მომიჯნავე შენობის მიჯნაზე დამატებით კონსტრუქციული ღონისძიებების გატარება, სადაც უნდა განისაზღვროს ძალვების განშლის კუთხით შესაბამისი დამცავი კონსტრუქციები, რის გათვალისწინებით სრულიად გამოირიცხება ყოველგვარი სახის ზეგავლენის წარმოქმნის პირობა.

დასკვნა

ჩვენს მიერ შესწავლილი ქ.თბილისი, ქუჩა ხახანაშვილის №37-ში საკ. კოდით №01.17.13.001.054 მიწის ნაკვეთზე ზემოთ აღნიშნული შენობის (საკ. ნუმერაციით 2/1) სადემონტაჟო სამუშაოები დასაშვებად მიგვაჩნია და არ გამოიწვევს მომიჯნავე არსებული შენობა 1/4 და 3/2-ის მიმართ უარყოფით ზეგავლენის გადაცემას ზემოთ ხსენებული რეკომენდაციებისა და მდგომარეობის გათვალისწინებით. სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარება შესაძლებელია ხელით და დამხმარე ინსტრუმენტების გამოყენებით. სამუშაოები თანმიმდევრობის მიხედვით უნდა განხორციელდეს სახურავიდან, რის შემდგომ მოხდება კედლებისა და საძირკვლის დემონტაჟი. რაც შეეხება ახალ მშენებლობას, რომელიც ითვალისწინებს ოთხ სართულიან სარდაფის სართულით სასტუმრო სახლის მშენებლობას დასაშვებად მიგვაჩნია და არ გამოიწვევს ზეგავლენას ზემოთ ხსენებული კონსტრუქციული ღონისძიებების გატარების ფარგლებში. აქედან გამომდინარე პროექტის მიხედვით წარმოდგენილი სამუშაოების სისრულეში მოყვანა დასაშვებად მიგვაჩნია სამშენებლოს ნორმებისა და წესების დაცვით.







EX ERT DEVELOPMENT
402030495
EXPERT DEVELOPMENT LTD





EX ERT DEVELOPMENT
402030495
EXPERT DEVELOPMENT



დირექტორი: ა. ყურაშვილი

კონსტრუქტორ-ექსპერტი:



საქართველო

მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 01024034907

სახელი ალექსანდრე

გვარი ყურაშვილი

დაბადების თარიღი 21.02.1985

დაბადების ადგილი თბილისი

№ დ 1428509

პირადი ხელმოწერა

მისამართი თბილისი იპ.ხვიჩიას ქ. N 16 ბ. 11

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს სამსახური

გაცემის თარიღი 11.05.2011

მოქმედების ვადა 11.05.2021

რეგისტრაციის თარიღი 23.06.2001

ბ.ა. უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

დამკვეთი: სსიპ სრს; შემსრულებელი: შპს „კაბადონი +"; სფს რეგისტრაციის № 05-1623



დამკვეთი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
შემსრულებელი: საგამომცემლო პოლიგრაფიული სახლი კაბადონი
ს.ფ.ს. რეგისტრაციის № 7 - 0158

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY



ბაკალავრის დიპლომი

BACHELOR'S DIPLOMA

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

With honours

STU № 000839

This is to certify that Mr./Ms. Alexander
Name, Surname
Kurashvili

was enrolled in 2002 in Georgian Technical University and in 2006

completed the requirements of Faculty of

Civil Engineering

Bachelor's Degree of the University

with major in Industrial and Civil Engineering

By the decision of the State Qualification Commission, September
Month, Day, Year
18, 2006, Mr. Alexander Kurashvili
Name, Surname

was awarded the Academic Degree of

Bachelor of Civil Engineering

Seal

Rector

Dean

City: Tbilisi

Registration # 06535

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

წარჩინებით

STU № 000839

ეძლევა ალექსანდრე ყურაშვილს

მასზედ, რომ იგი 2002 წელს ჩაირიცხა და 2006

წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სამშენებლო

ფაკულტეტის

ბაკალავრიატის სრული კურსი სამრეწველო და სამოქალაქო

მშენებლობის

სპეციალობით

საკვალიფიკაციო კომისიის 2006 18. 9
(წელი, რიცხვი, თვე)
გადაწყვეტილებით

ალექსანდრე ყურაშვილს მიენიჭა

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მშენებლის

კვალიფიკაცია

რექტორი

დეკანი

ქალაქი თბილისი

სარეგისტრაციო ნომერი 06535



მაგისტრის
დიპლომი

MASTER'S
DIPLOMA

დამკვეთი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დამამზადებელი: შპს „ფორმა“
სფს რეგისტრაციის № 04-1599

GEORGIA

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

TECHNICAL UNIVERSITY OF GEORGIA

MASTER'S

DIPLOMA

MA № 000505

This is to certify that by the decision June 26, 2008.

of the Civil Engineering faculty

of the **Technical University of Georgia**

Mr. Alexander Kurashvili

born on February 21, 1985.

was awarded an academic Degree of Master with a Major in

Civil Engineering

seal

Dean of the faculty

Rector

Tbilisi September 18, 2008. Registration No 00504

საქართველო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მაგისტრის

დიპლომი

MA № 000505

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

საინჟინრო

ფაკულტეტის 2008 წლის 26. 6 გადაწყვეტილებით,

ალექსანდრე ყურაშვილს

დაბადებულს 1985 წლის 21 თებერვალს

მიენიჭა მშენებლობის

მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

ბ. ა.

ფაკულტეტის დეკანი

რექტორი

თბილისი 18/09/2008 სარეგისტრაციო # 00504

სამუშაო გამოცდილება

ექსპერტიზის ჩატარება დაევალა ექსპერტს - ალექსანდრე ყურაშვილს, რომელსაც აქვს:

-უმაღლესი ტექნიკური განათლება კვალიფიკაციით - სამოქალაქო სამრეწველო მშენებლობა, ხარისხი - მაგისტრი
- ამ დარგში მუშაობის გამოცდილება - 10 წელი.
-2007-2010 წ. სახელმწიფო უზრუნველყოფის სამხასური (ავლაბრის ადმინისტრაციული კომპექსის მშენებლობა) თანამდებობა: ქონების განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი
-2010-2016 წ. შპს „ლილეო"- საპროექტო-სამშენებლო ორგანიზაცია, სპეციალობა: ინჟინერ-ექსპერტი

ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

კონსტრუქტორ-ექსპერტი: ა.ყურაშვილი

ალექსანდრე ყურაშვილი

1

საქართველო

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ექვს დეკემბერს მე, საქართველოს ნოტარიუსს თეა მაღალდაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მტკვრის ქ. N6, მომმართა: **ალექსანდრე ყურაშვილმა**, რომელმაც წარმოადგინა მის მიერ შედგენილი **სამუშაო გამოცდილების** ერთი ეგზემპლარი და მოითხოვა მასზე მისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ალექსანდრე ყურაშვილმა** (დაბად.21.02.1985წ. პ/ნ 01024034907, პ/მ ღ1428509) მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს.

მან განაცხადა, რომ მისთვის ცნობილია **სამუშაო გამოცდილების** შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგი, რომ იგი სრულად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი **სამუშაო გამოცდილებას**, რომელიც თან ერთვის სანოტარო აქტს.

ნოტარიუსმა მას განუმარტა, რომ იგი ამოწმებს მხოლოდ **სამუშაო გამოცდილებაზე** მისი ხელმოწერის ნამდვილობას და არა **სამუშაო გამოცდილებაში** მოყვანილი ფაქტის სიზუსტეს და ნამდვილობას. მე მას აგრეთვე განვუმარტე, რომ ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კერძო აქტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის, ან კერძო აქტში ხელმომწერის ნების არაადეკვატურად ასახვის გამო და შესაბამისად, პასუხს არ აგებს მის ნამდვილობაზე.

დამოწმებულია ერთი ხელმოწერის ნამდვილობა **სამუშაო გამოცდილების** ერთ ეგზემპლარზე და შესაბამისად გადახდილია სანოტარო საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების (29.12.2011 წ.) 31-ე მუხლის საფუძველზე 2.00 ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 2.00 ლარი და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. 0.36 ლარი, ჯამში: 4.36 ლარი.

საქართველოს ნოტარიუსი
თეა მაღალდაძე



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N171419327
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	06.12.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
სრულიად	თეა მაღალდაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, მტკვრის ქუჩა N6
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	0322931887
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	31278100086917

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18